სახეს, როცა უველა დანარჩენ პარტიებზე და ჯგუფებზე მეტი მოვალეობა აწევს დღეს ჩვენს პარტიას, კრებას საჭიროთ მიაჩნია ცოცხალი პარტიული მუშაობის გასაჩაღებლათ შემდეგი ზომები: მოხდეს ეხლავე რაიონის რეორგანიზაცია და ეს მიენდოს კომიტეტს. შესდგეს ყველა დარგებში „იაჩეიკები" და მათ წარმომადგენელთაგან — რაიონული კომიტეტი; პარტიის წევრათ მიღებული იქნას ის პირი, ვინც საწევრო გადასახადს გადაიხდის და თავის დროზე, პარტიის ერთ რომელიმე ორგანოს გამოიწერს (თუ წერა-კითხვის მცოდნეა), დამფუძნებელი კრების კამპანიის ფონდისათვის პარტიის სიეზდის გადაწყვეტილების თანახმათ ფულს გამოიღებს და ვინც პარტ. კრებას სამჯერ ზედი-ზედ უმიზეზოთ არ დააკლდება. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კიტაევმა. მან ფართოთ დაახასიათა დამფუძ. კრების მნიშვნელობა და ჩვენი პარტიის მასთან დამოკიდებულება. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია: დღევანდელ დამფუძნ. კრების საარჩევნო კომიტეტმა, რომელიც ბაღდადში უკვე შესდგა, მოაწყოს ფართო აგიტაცია ბაქოს გუბ. საზღვრებში ამიერ-კავკ. თუ კავკასიის გზის ყველა სადგურებზე და მასთან ახლო მახლო მდებარე დაბა-ქალაქებში. შემდეგ მოხდა საარჩევნო კომისიის არჩევნები; არჩეულ იქნენ: შათირიშვილი, სულავა და მასკვინი; კანდიდატებათ—გალუსტოვი და რობაქიძე.

ძველი ტყვე.

## ჯარის-კაცთა წერილები.

**ახალი ზაგრა.** აქ ცივებ-ცხელებამ საშინლათ დაავათმყოფა ხალხი. ვერ ნახავ ისეთ კაცს, რომ ცივებისაგან არ იყოს გაყვითლებული. წამალი არსად არ იშოვება. მეტად გავრცელდა სხვადასხვა სენი ხანმდორო ტყვეებში. დღე არ გავა ისე, რომ სამი-ოთხი ტყვე არ მოკვდეს. აქა-იქ მშვიდობიანი მცხოვრებნიც იმსხვერპლა. როგორც ირკვევა, გადამდები სენი უნდა იყოს. საჭიროა ვინმემაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რათა მშვიდობიან მცხოვრებთ სენი არ გადაედოს.

სიძვირე უმაღლეს წერტილამდეა ავიდა. ყველი 6 მანეთი ღირს 1 გირვანქა, კარტოფილი 12 მ. ფუთი, კომბოსტო ახალი 12 მ. ფუთი, პური ხომ საზოგადოთ გაძვირდა. აქ სასურსათო კომიტეტმა ბევრჯერ დააწესა ნიხრი, მაგრამ ამაოთ. ვაჭრები ამას ყურადღებას არ აქცევენ. სოფლიდან გასაყიდი არაფერი არ შემოაქვთ, ამიტომ მეტად უჭირს მდგომარეობაში იმყოფებიან აქაური მუშები. პური ვერ აკმაყოფილებს აქაურთ, სიმინდის ფქვილი ფუთი 12 მანეთი ფასობს და ისიც არ იშოვება. შიმშილი მოსალოდნელია. აქ არ მოდის ჟურნალ-გაზეთები, თუ ვინმეს მოსდის სამი თვის ცალი. დანარჩენებს კი ვერ ჩაახედავ გაზეთში!.. აქ დგას მე-32 მუშათა ბათალიონის მე-5 როტა, ამ როტაში ნახევარი ქართველები არიან. ამათთვის არც გაზეთია საჭირო, არც ჟურნალი, თუმცა მოდგების ერთი ცალი „ერთობა", მაგრამ წაკითხვა არავის არ აინტერესებს, რომ წაიკითხონ პირიქით ხელს გიშლის ზოგიერთი კითხვაზე. ამათი სულიერი საზრდო კარტის თამაშია, ამიტომ ყველა ნაწილზე ჩამორჩენილია ჩვენი როტა. აქ არ მინახავს ერთი ვინმე მოსულიყოს და აეხსნას ჯარისთვის დღევანდელი მომენტი და რევოლიუციის მნიშვნელობა. ამათთვის დღევანდელი რევოლიუცია და ძველი რეჟიმის მოსპობა თითქოს სიზმარი იყოს, მეტი არაფერი. ამ საერთო გამოფხიზლების დროს ეს ხალხი სადღაც ძილს მისცემია.

ჯარისკაცი ვახიდ აფხაზავა.

---

გვახლავს დამფუძნებელ შემდეგი: სოფლათ და ქალაქად გაავრცელეს ხმები, ვითომც ქართული „პარტიზანის" რაზმი, რომელიც ქალაქ ბათუმიდან გაემგზავრნენ დასავლეთის ფრონტზე, ვითომც ვიყოთ მაგ-რაზმელები და რევოლიუციის მტრები; ხმის გამავრცელებლები შემცდარნი არიან. ჩვენ ვიბრძვით მაგ-რაზმელების წინააღმდეგ და მზათ ვართ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ თავისუფლება. ის ვაჟბატონები, რომლებიც ხმას ავრცელებენ და ჩირქს გვცხებენ არიან ჩვენი რაზმიდან გამოქცეულები.

ქართულ „პარტიზანის" რაზმის ჯარისკაცნი: ვახიდ კუტალაძე და ერმილე დ. მკახელი.

---

დიდ გაჭირვებას განიცდის წელს საზოგადოთ გურია, მაგრამ არა მგონია რომელიმე საზოგადოება ისეთი გაჭირვებული იყოს, როგორიც ძიმითის საზოგადოება არის მოუსავლიანობის მხრით. შეიძლება ამ მოსახლეს ქონდეს საყოფი ხარჯი, მხოლოდ დანარჩენ 900 მოსახლემდე კი თითო-ორიოლ თვეს თუ ეყოთ, დიდია. საჭიროა ეხლავე ზომების მიღება მოწინავე პირებისაგან. დეზერტირებიც აქ ბლომათ არიან და აწუხებენ ხალხს.

ჯარისკაცი ნიკიფორე ხარატიშვილი.

---

**მოქმედი ჯარიდან.** მე-152 ნომერ „ერთობაში" წავიკითხეთ თიანეთის მაზრაში მომხდარი ამბები, სადაც ყაჩაღი ქისტები ესხმიან თავს ჩვენს სოფლებს, ხოცავენ მწყემსებს, ართმევენ ათასობით ცხვარს, ძროხას და ცხენს და პასუხის გამცემი არავინ არის. ჩვენ ამავე მაზრის ჯარისკაცნი მოუთმენლათ ვუცდით ყოველივე იმ გაჭირვებისა, რაც ამ სამ წელიწადში გადაიარა ჩვენს თავზე და პირველ მობილიზაციიდან სულ პოზიციაზე ვიმყოფებით სამშობლოს დასაცავათ, ვფიქრობთ კიდევ, რომ გვეღირსება სამშობლოში დაბრუნება იმ იმედით, რათა კიდევ ფეხზე წამოვაყენოთ ჩვენი ეგრე უპატრონოთ დარჩენილი ოჯახი, სადაც ჩვენს საცხოვრებელ სადგომს შეადგენს მარტო ცხვარი და ძროხა, რასაც ეს ყაჩაღები ახლა გვართმევენ. ვთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით, სადაც ჯერ არს, მიიღონ სასტიკი ზომები ამ ყაჩაღების წინააღმდეგ. უფრო უკეთესი იქნებოდა ამავე მაზრის ჯარისკაცთა გაწვევა იმათ წინააღმდეგ, რომელნიც არ დაზოგავენ თავს თავის სამშობლოსათვის; ჩვენ, თიანეთის მაზრის ჯარისკაცნი, რომელნიც ვიმყოფებით ბაიბურთ ტრაპიზონის იქით, სადღაც მთებში კლდეებში დიქსაქსულნი და ჩვენს სამშობლოში ქისტები თარეშობენ და უკანასკნელ მარჩენალ ხარს და ცხენს ართმევენ და გზებზე ხალხს ძარცვავენ, მოთმინებიდან გამოვდივართ და ვთხოვთ ამ. კავკ. ხაგ. კომიტეტს, დროებით რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარეს ეგ. გეგეჭკორს, გლეხთა ცენტრს და სახელმწიფო კომისარიატს, რათა სასტიკი ზომები მიიღონ ყაჩაღთა წინააღმდეგ, რომ ბოლო მოეღოს ამ თავ-დასხმას.

ჯარისკაცთა მონდობილობით ჯარისკაცი გ. ა. აფციაური.

---

**ფრონტიდან.** ბრწყინვალე მზის სხივმა ჩვენთანაც შემოანათა; დაგვიხსნა იმ ბნელეთიდან, რომელიც ამ ქვეყანაზე მეფობდა. ხალხს გამოფხიზლება დაეტყო, მოწინავე ამხანაგებმა შესძლეს მოეწყოთ რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაცია და მათ გულთავლისწინებით უკვლავ... მოკლებულ ჯარისკაცთათვის საერთო დღევანდელი მდგომარეობა—ხშირათ იმართება პარტიული კრებები, რასაც წევრნი სიხარულით ეგებებიან. 30 სექტემბერს შესდგა კრება. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. ლ. ლომაშვილი, ამხანაგათ ამხ. ა. გოლოძე.

ამხ. ი. მაჭავარიანმა ახსნა პარტიის ისტორია, მისი ღვაწლი და მშრომელთა კლასის დაუღალავი დამცველობა, რომელმაც მოაგონა კრებას რევოლიუციის პირველ დღეებში თავ-განწირული ამხანაგები. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას. შემდეგ ა. მახარაძემ ილაპარაკა დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, მის მნიშვნელობაზე, რის შემდეგაც ილაპარაკა ამხ. ლ. ლეჟავამ. მან მკაფიოთ გადმოუშალა დამსწრე ამხანაგებს, რა არის ხალხოსნები და თუ როგორი ბრმა იარაღი ყოფილან ჩვენ ამ სამღვდელოების ხელში უპასუხისმგებლო მთავრობის დროს; ამხ. გ. გოგუაძემ ილაპარაკა შინაურ ცხოვრებაზე. მადლობის ღირსია, როგორც ეს მოწინავე ამხანაგები, ისე მთელი შემადგენლობა, რომელნიც ყოველ მხრივ ხელს უწყობენ და შრომას არ ზოგავენ ასეთ ფრიად საყურადღებო და სასარგებლო საქმის განამტკიცებლათ და გასაძლიერებლათ.

მე-5 სამთო პარკში მსახური ჯარისკაცი ი. მელქაძე.

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. რუხი (ზუგდ. მაზრა).** 15 ოქტომბერს რუხის მცხოვრებთათვის დიდი დღე იყო. ამ დღეს ახლათ დაარსებულ „რუხის ქალთა საზოგადოებამ" გახსნა ქალთა საფეიქრო სასწავლებელი, რომელსაც დაესწრო რუხის და მახლობელ სოფლელთა ინტელიგენცია (მოწინავენი) და მოსწავლენი თავიანთი დედებით. კურთხევას, რადგანაც მისვლისა გამო, არ დასწრებია სოფლის მუშა-მახარებლები. ხანგრძლივი ომის გამო ბაზარზე გაქრა ყოველნაირი ტანთ-საცმელი და ომი რომ შეჩერდეს, კიდევ რამდენიმე ხანს გასტანს ასეთი გაჭირვება ტანსაცმლების მხრივ და სწორედ აქ შეუძლია სკოლებს ხალხისთვის სამსახურის აღმოჩენა. სიტყვა წარმოსთქვა ირაკლი გულისაშვილმა და განუმარტა დამსწრეთ ქალთა უფლების ისტორია და ურჩია ქალებს, რომ მათ თავიანთი ცოდნა-შრომით შესძლონ თავის რჩენა და არ იყვნენ ძველებურათ მამაკაცების ხელში შემაცქერალნი. შემდეგ მიულოცა რუხის სკოლის მასწავლებელმა ქალმა ქიღიაშვილმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მასწავლებლებმა რუხის წერა-კითხვის სასწავლებლისამ, აღუთქვეს საფეიქრო სასწავლებლის გამგეობას უსასყიდლოთ იმეცადინონ სელამიონით საფეიქრო სასწავლებლის მოწაფეებთან. ქალთა წრის გამგეობის სახელით მიულოცა საზოგადოებას ელენე დეკანოზიშვილმა და აღნიშნა, თუ რა დიდი შრომა დასჭირდა გამგეობას იმ თანხის შესადგენათ, რომლითაც შეიძლება ოთხი ქარგის შეძენა და სხვა საჭირო ნივთებისა და მასწავლებლის მოწვევა. სასწავლებლის ხელმძღვანელობა იკისრა ჯერ-ჯერობით უსასყიდლოთ ქარელის საფეიქრო სკოლის გამგე ინსტრუქტორმა ქალმა მ. ციციშვილისამ. მიულოცა ასიან ფანიაშვილმა, რომელმაც სთქვა: „ხალხისათვის თავდადებულ მოწინავე პირებმა, უშიშარი, მედგარი ბრძოლით ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ, მოგვაპოვეს დღევანდელი თავისუფლება და თუ ხალხიც გამოიყენებს ამ დიად ხანას, მაშინ შეგვეძლება ვიქონიოთ იმედი უკეთესი მომავლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგველის დიდი უბედურებები ძირს დაცემულ ძველი მთავრობის მომხრეებისაგან. დღეს ქალი და კაცი გათანასწორებული უფლებით უნდა ვცდილობდეთ ჩვენი ხალხის განვითარებას, სწავლის და აი, რუხის ქალთა მხნე შრომა-მეცადინეობის ნაყოფსაც ვხედავთ. სხვა ქალების სამაგალითოთ ჩაუყარეს საძირკველი მეტად სასარგებლო, სიმპატიურ, საქმეს და, იმედია, ჩვენი საზოგადოება ხელს შეუწყობს ახლათ დაწყებულ საქმეში და შეაძლებინებენ საფეიქრო სასწავლებლის სამუდამოთ მოწყობას. გილოცავთ რა პატარა ჯგუფის სახელით, რომელსაც სურს უკვდავ ჰყოს სახელი ჩვენი საერთო დედის სიდონია კლიმიაშვილისა,—ვთხოვ საფეიქრო სასწავლებლის გამგეობას მიიღოს ჯერ-ჯერობით ეს წვლილი (140 მ.) სიდონიას ფონდათ და მის სახელობაზე გაანთავისუფლოს სწავლის ფულიდან ულარიბესი ობოლნი თანხისადა მიხედვით, რომელი თანხის გადიდებასაც ეცდებიან ყველა ისინი, ვისშვილიც ამგვარ მიუძღვის ნეტარხსენებულ ჩვენს დედას სიდონიას, ასეთები კი ბევრნი გამოჩნდებიან".

დაბოლოს სიტყვით მიმართა ფერშალმა ა. კვეკელაშვილმა, რომელმაც მილოცვის შემდეგ სთქვა, რომ განზრახვა გვაქვს გავხსნათ რუხში სააფთიაქო ერთი ფერშლით, ექიმი კი კვირაში ორჯერ ივლის ავათმყოფების გასასინჯათ და სთხოვა საზოგადოებას დაეხმარონ ამ საქმის განხორციელებაში. კურთხევის შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზედაც ბევრი გრძნობიერი სიტყვები წარმოითქვა.

მიხეილ ხიმშიაშვილმა სიტყვის შემდეგ გადასცა გამგეობას 100 მ. თავისი დის დარიკოს ხსოვნის აღსანიშნავათ. ბარბარე მიქელაძის ცოლს აქვს აგრეთვე აღთქმული თავისი შვილის სახელის აღსანიშნავათ ყოველ წლივ ხუთ-ხუთი თუმანი, რისთვისაც გამგეობამ უნდა იყოლიოს ერთი სტიპენდიანტი. ბოლოს რუხის ქალთა წრის გამგეობის თავმჯდომარემ ალ. ევარამიძისამ მიმართა სიტყვით საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც კი გამარჯვებაზე ნივთიერათ თუ შრომით შეეწია მისაღწევათ და აგრეთვე დამსწრეთ თანაგრძნობისათვის. იმედია რუხიდან გასული ინტელიგენციაც დაეხმარება შორიდან თავიანთი წვლილით, რათა გამგეობამ შეძლოს სამაგალითო საქმის დაგვირგვინება.

დამსწრე.

---

**ხაშური.** 14 ოქტომბერს შესდგა მორიგი კრება დაბის აღმასრულებელ კომიტეტისა. დღიურ წესრიგში შედიოდა: კომისიების მოქმედება, საქალაქო და დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მზადება, მილიციის დაჯილდოება, ფედერალისტების დაუსწრებლობა კრებაზე, გორის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის დელეგატების შესახებ, მიმდინარე კითხვები. პირველ კითხვას შესახებ მოხსენება გააკეთა შალამბერიძემ. მან აღნიშნა, რომ არჩეული კომისიები თავიანთ დარგში უმოქმედობას იჩენენ და ვერავითარ ნაყოფიერ მუშაობას ვერ ვხედავთ იმათგან. საჭიროა კომიტეტმა ამას მიაქციოს ყურადღება და შემოსული ახალ წესები თავისთავის გზა უჩვენოს. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი: რადგან შემოსავლიდან ხაზინის საზოგადოების მხრივ თანხებთან მატულობს და არჩეული კომისიები უფრო საქმე არ იმეტებენ ამის შესახებ, ამიტომ მიეცეთ წინადადება კომისიებს შეიკრიბონ დასამტკიცებლად დროზე და სათავეში ჩაუდგნენ მუშაობას. საქალაქო და დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. იმნაიშვილმა. მან სთქვა, რომ აღწერა უკვე გათავებულია, საარჩევნო ბლანკები დამზადებულია და ამით კომისიამ თავისი მოვალეობა შეასრულა.

რადგან ცხრამეტისა და ჰაერის მესროლეებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ საქალაქო ფარგლებში ისინიც შედიოდნენ, ამიტომ პრეზიდიუმმა მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილა. ვინაიდან ჩვენ მილიციამ უჩვენა ბევრი შრომა და ჯაფა, რომელიც ასრულებს არა მარტო მილიციის მოვალეობას, არამედ მან უზრუნველყო საქმის წარმოებაც. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა დაუნიშნოს მას ჯამაგირი. მიღებული იქნა ეს წინადადება და დაუნიშნეს 50 მანეთი.

რადგან კრებას ფედერალისტები სისტემატიურათ არ ესწრებიან და, როგორც ჩანს, მათი მოქმედებიდან ბოიკოტიც გამოცხადებულს მას, ამიტომ გადაწყვეტილ იქნა შეეკითხონ მათ, თუ რა მიზეზია, რომ არ ესწრებიან ისინი კრებას. აირჩიეს დელეგატი გორის რაიონის აღმასრულებელ კომიტეტების ყრილობაზე დასასწრებლათ. გაგზავნილ იქნა მ. შარიაშვილი. მიმდინარე კითხვებს შორის გაირჩა დირექტორის და ინსპექტორის არჩევა და დაადგინეს 15-მა 1 წინააღმდეგ: შესდგეს ახალი ორგანიზაცია, სადაც შევლენ წარმომადგენელნი აღმასრულებელ კომიტეტიდან რიცხვით 10 კაცი, 5 პედაგოგიურ საბჭოდან და 5 მშობელთა წრიდან.

გ. მანველი.

---

**[illegible] (გურია).** ამ 10 წლის წინათ ეს ადგილი გაუვალ მუხნარით იყო მოცული, მაგრამ დღეს საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს, რაც უნდა მიეწეროს აღნიშნულ მოწინავე პირების და ხალხის მხნე მუშაობას. შედეგათ ამ 1917 სამოსწავლო წლიდან გაიხსნა სრულუფლებიანი 4 კლასიანი მაღალი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა ამ დიად საქმეს. ჯერ კიდევ ივნისის თვიდან შეუდგნენ სამზადისს, რომ მომავალ სასწავლებელში მომზადებული ბავშვები შეეყვანათ. ამ მიზნით შესდგა ადგილობრივ ინტელიგენტებისაგან მასწავლებელთა ჯგუფი, რომლებმაც მიიღეს თავის თავზე ინიციატივა ბავშვების მომზადებისა, რაც ღირსეულად შეასრულეს; ეხლა იმედებს ამყარებს საბჭოთ-სოფლის რაიონი ამ ახლად გახსნილ სასწავლებელზე და იმედოვნებს, რომ ის იქნება ამ რაიონში მეცნიერების კერა, რომელზედაც უნდა გამოიზარდოს ნამდვილი მშრომელი ხალხის და მათი ინტერესების დამცველნი ახალი თაობა, ეს კი, დამყარებულია მათ ხელმძღვანელ მასწავლებლებზე. ჩვენ ვიმედოვნებთ და ეჭვიც არ არის, მასწავლებლები შესძლებენ იმედის გამართლებას და მით გაუსაძლიერებენ სოფლის მუშა ხალხს ენერგიას.

ლადიკო ყუნია.

---

**რაჭა.** უკანასკნელ ხანებში მატულობს კოოპერატივების რიცხვი რაჭაში. საზღაპრო სიძვირისა და საქონლის ნაკლებობის ხანაში, როდესაც ვაჭრებს შემთხვევა მიეცათ თავიანთი გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად, კოოპერატივი ერთად ერთ ნუგეშად მოევლინა სოფელს. არ მოიპოვება არც ერთი დაწინაურებული საზოგადოება, რომ ორი სამი კოოპერატივი არ ქონდეს. აქამდე თუ მთელს რაჭაში 3—4 კოოპერატივი ძლივს მოიძებნებოდა, დღეს ასე ადვილი არის. დღეს რაჭველმა გლეხებმაც შეიგნო კოოპერატივის მნიშვნელობა და სიამოვნებით ეწერება წევრათ. მის არსებობაზეც შეანათა კოოპერაციის იდეიათა სხივებმა. მთავარი საზრუნავი აქაური კოოპერატივებისა არის სიმინდი, რომელსაც კოოპერატივში სიმინდი გამოიღება. მისი ფასი კოდზე (2 ფუთი) 18—20 მანეთამდე აღწევს. ახლოვდება ზამთარი და აქაური კოოპერატივებიც უნდა შეუდგნენ ზამთრისთვის სიმინდის და სხვა საქონლის შეძენას ქუთაისში, რადგანაც ზამთრობით უფრო ძნელია საქონლის მოტანა. მაგრამ ნაკლი აქაური კოოპერატივებისა ის არის, რომ თითოეული კოოპერატივი ცალკე მოქმედობს საქონლის შეძენაში. არა აქვთ ერთიმეორეთან კავშირი. თვითეული კოოპერატივი რაღაც უმნიშვნელო თანხით აგზავნის ქუთაისში ხშირად ორ-სამ კაცს საქონლის შესაძენათ. ეს, რასაკვირველია აძვირებს ხარჯებს მოითხოვს კოოპერატივისაგან და ამით საქონელი უფრო ძვირდება. საჭიროა შეიგნონ აქაური კოოპერატივების მესვეურებმა ეს ნაკლი და ეცადონ ამ მოკლე ხანში მოიწვიონ მთელი რაჭის თუ არა, ქვემო რაჭის კოოპერატივის ხელმძღვანელთა კრება, სადაც უნდა გამოიმუშაონ საერთო მოქმედების გეგმა, რომ ყოველ თვე არ სჭირდებოდეთ ქუთაისში ჩასვლა.

გ. ჯანაძე.

---

**სოფ. ხუნევი (შორ. მაზრა).** 6 ოქტომბერს შესდგა მორიგი კრება ხელმძღ. ს. დ. ჯგუფისა. კრებას დაესწრო 40 წევრი. ამხანაგმა ანდრია გოჩიტაშვილმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის და პარტიული მუშაობის შესახებ, კრება კმაყოფილი დარჩა მოხსენებით. კრებაზე არჩეულ იქნა ადგილობრივათ დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობი კომისია და საარჩევნო ფონდისთვის შეგროვილ იქნა ამხანაგებში 67 მ. და 25 კ. რომელიც იგზავნება დანიშნულებისამებრ. ამავე ჯგუფის ინიციატივით აქ გაიხსნა წიგნ-საცავ სამკითხველო აჭარლების მოძმეების ამხ. აკაკი ჩხენკელის სახელობაზე. გადაწყდა აგრეთვე კოოპერატივის დაარსება, რისთვისაც არჩეულ იქნა 12 პირისაგან შემდგარი კომისია. კრებამ გამოსთქვა სურვილი ავტომობილის მიმოსვლის დაარსებისა, რადგანაც ბათუმ-ახალციხის გზატკეცილის ეტლთა მიმოსვლის მოიჯარადრე ჩვენს თავსეხურობას საზღვარი არ აქვს და დიდათ უმატებს მიმოსვლის ქირას; მაგალითად, შარშან თუ 8 მ. და 40 კ. ვიხდიდით, დღეს 45 მ. გვახდევინებს და ამისთვისაც დიდი ხვეწნა და პროტექცია არის საჭირო. საერთოდ ამ ვაჟბატონის თვითნებობას საზღვარი არ აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველივე გვითმენია. ყველა ამ მიზეზების გამო ხალხში ჩამოწვეთებულია ნიადაგი ავტომობილის შეძენისა. საერთოდ აქაურ ხალხს დიდი გამოფხიზლება დაეტყო და თან ჩვენ ნებს მეტი სიმპატიით უცქერიან, თუმცა ზოგი ვაჟბატონები ხელს უშლიან ამაში. სხვა ადგილებში სოფლად კარგა ხანია სწავლა დაწყებულია, მაგრამ აქეთ ჯერ მასწავლებლებიც არ ამოსულან.

დანწორი.

## ცნობები

### ჯარის კაცების შესახებ.

ქართულ მსროლელ პოლკის ჯარის-კაცებს. „ერთობის" მე-180 ნომერში მოთავსებულია ცნობა თქვენივე პოლკის დაღუპულ ჯარის კაცების შესახებ. რომელთა შორის ნაჩვენებია მიხეილ კვლიკაძე, თელავის მაზრის, ს. ბოდბისხევის მცხოვრები. რადგან გაუგებრობას იწვევს მშობლების მხრით ასეთი განცხადება გთხოვთ დაგვეხმაროთ და დაწვრილებით გვაცნობოთ საქმის ვითარება. ადრესი: თბილისი, კანტორა „განათლება"-ში ს. მუკვანს.

— ქალ. ლანჩხუთის მცხოვრები, დიმიტრი ივანეს-ძე ჩხვაძეშვილი, სამხედრო ტყვე, ორი წლის წინათ იმყოფებოდა გერმანიაში და ცნობებიც მოდიოდა. თითქმის ორი წელი გავიდა რაც მის ცოლ-შვილს მისგან არავითარი ცნობა არ მოდის, შეიძლება ვინმემ შემთხვევით მასზე რამე იცოდეს, ვთხოვთ გვაცნობონ წერილობითი (დასწრებულით) ამ მისამართით: Ланчхуты, Л. Пертая, для Пасико Чахвашвили.

— ჯარისკაცი ივანე დიმიტრის ძე უშვერიძე მსახურობდა ქართულ მსროლელთა პოლკში მე 9 როტაში მე 3 „ვზვოდში", თუ ვინმემ იცით მის შესახებ რამე, გთხოვთ გვაცნობოთ. მისამართი: Кавказская Дѣйствующая армія 5-ая горная Батарея 66-ой артиллерійской бригады 3 взводъ Нестору Ушверидзе.


სახალხო სახლი.

სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართვ. წრე.
პარასკევს 20 ოქტ. 1917 წ. წარმოდგ. იქნება

[illegible]

დრამა 4 მოქმ., [illegible]შვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ც. ამირეჯიბი, ლ. გოლეიძე, ე. ზარიათიშვილი, ვ. მარჯვნიშვილი, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი დეგემბეძისა, ს. სააკოვი, ბ.ბ. გ. ანაშვილი. ვ. ნინიძე, ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ბ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ა. მჭედლიშვილი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, ო. სალაყაია, ქ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური, ნ. ჭანკვეტაძე და წულაძე.

ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ-დღე დილის 12-2 და საღ. 6-8 საათ.

შემდეგი წარმოდგენა 25 ოქტომბერს.

რეჟ. ქ. შათირიშვილი, რეჟ. თან. ა. ხადრიძე.

---

კვირას 22 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში დილის 10 საათზე. XI უბნის სასურსათო კომიტეტი იწვევს

**მოქალაქეების კრებას**

კითხვები: 1) მოხსენება კომიტეტის თავის მოქმედების შესახებ. 2) კვირაში ფურნეების მოსპობა და პურის [illegible] მოსპობა. 3) სასურსათო კომიტეტის რეორგანიზაცია და კომიტეტის წევრების არჩევნები.

XI უბნის სასურსათო კომიტეტი.

---

ექიმი

**გ. დონხინი**

ყოფილი ასისტენტი (პარიზის მთავარ კლინიკასა იღებს

თვალის ავადმყოფებს,

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ბიურო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (ფელდენის ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა", „ბორბა" და „ფაიქარი". იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-მდე.

---

ჩერქეზიშვილის მოედანზე, ყოფილ [illegible] ნემეცების სკვერთან მოთავსებულია რ. ს.-დ. მ. პ. მეცხრე უბნის კოლექტივის

**ბიურო და კიოსკი**

სადაც შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა, მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე: „ერთობა", „ბორბა" და „ფაიქარი" იყიდება გაზეთები და წიგნები. ბიურო ღიაა საღ. 6—9 საათამდე.

---

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

---

ქალის ექიმი

**მამულაიშვილი-ხოდნევისამ**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე კვირის გარდა. ოლღას ქ. № 22.

---

**ექიმი ივანე თიკანაძე**

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 13, ტელეფონი № 11—82.

---

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე. პუშკინის ქუჩა, [illegible] სახლში.

---

ქალის თანაშემწე

**ელ. ი. თავართქილაძე**

დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4

---

**ექიმი გ. ზ. მუხაძე**

იღებს სიფილისიტიკურ ავათმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

---

**ექიმი ქ. ი. გვარამაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
პავლოვის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

---

**ექიმი მ. ბ. ბეჟანაძე**

[illegible] ავადმყოფებს [illegible] ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible] რაზმოვის ქუჩა, № 19.

---

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარიის და ქრონიკული ტრიპერის. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. ბარის ქუჩა № 6 (დიღომი)


[illegible]